

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2021 წლის „ აგვისტო, ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის
თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა შპს „ალიანსი ფრივილიჯი“-ს (ს/კ 412718466) დაუბრუნოს ქალაქ ბათუმში, შოთა რუსთაველის ქ. №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.23.02.025) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობისათვის „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 ივლისის №27 დადგენილების საფუძველზე მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების გამო ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, იმ შემთხვევაში, თუ შპს „ალიანსი ფრივილიჯი“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას მოახდენს უძრავი ქონებით (მათ შორის ამ პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან), რომლის ღირებულება იქნება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობაზე მეტი.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის
თანხმობის მიცემის შესახებ“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების მიღება. კერძოდ, განკარგულების შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა შპს „ალიანსი ფრივილიჯი“-ს (ს/კ 412718466) დაუბრუნოს ქალაქ ბათუმში, შოთა რუსთაველის ქ. №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.23.02.025) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობისათვის „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 ივლისის №27 დადგენილების საფუძველზე მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების გამო ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, იმ შემთხვევაში, თუ შპს „ალიანსი ფრივილიჯი“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას მოახდენს უპირავი ქონებით (მათ შორის ამ პუნქტით გათვალისწინებული უპირავი ქონებიდან), რომლის ღირებულება იქნება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობაზე მეტი.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება;

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის სამშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე-არ გამოიწვევს .

პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებულა კონსულტაციები;

პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

პროექტის ინიციატორი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი

მირიან მეტრეველი